



# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030165318666013

№ 01-217/ა

28 / ოქტომბერი / 2013 წ.

**ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად გატარების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

„ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №762 განკარგულების გათვალისწინებით, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად გატარების მიზნით განისაზღვროს საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შემადგენლობა შემდეგი სახით:
  - ა) დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - საბჭოს თავმჯდომარე;
  - ბ) დავით ლომიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
  - გ) გიორგი კაკაჩია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;
  - დ) ალექსანდრე ტაბატაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;
  - ე) ნინო ქაჯაია - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;
  - ვ) გურამ ალიბეგაშვილი - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;
  - ზ) ნათია ჯოხაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;

თ) რატი ბრეგაძე - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ი) შალვა მექვაბიშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი - საბჭოს წევრი;

კ) ეკატერინე გუნცაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ლ) თინათინ შელია - ქ.თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი.

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვით:

ა) ნათია ფარცხალაძეს - გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი;

ბ) ქეთევან მელიქაძეს - გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი.

3. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გამამყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭო უფლებამოსილია დამატებით შექმნას სამუშაო ჯგუფები, განსაზღვროს მათი შემადგენლობა და ამოცანები.


7. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის შეიქმნას საბჭოს სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ტვილდიანი - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბ) ანა ფიცხელაური - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი/საბჭოს თავმჯდომარე



დავით სერგეენკო